დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში

თამარ ჯოლოხავა
E-mail: tamarjolokhava@yahoo.co.uk
ივანე ჯავახისშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია“
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თბილისი, 0179, საქართველო

აბსტრაქტი
დაცული ტერიტორიები (ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ბუნების ძეგლი, ნაკრძალები, დაცული სახმელეთო/საზღვაო ლანდშაფტები და ა.შ.) ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით არის ერთერთი მნიშვბნელოვანი ობიექტი, რომელიც უზრუნველჰყოფს ადამიანების კეთილდღეობის მთავარ საარსებო წყაროს ადგილობრივ დონეზე. დაცულ ტერიტორიების მთავარი უპირატესობა: მცენარეულობის შენარჩუნება, ნიადაგის დაცვა, კლიმატის ცვლილების სტაბილიზაცია, გაუდაბნოებასთან ბრძოლა, მტვრის ქარიშხლის აღკვეთა და ჰაერში არსებული მყარი ნაწილაკების შემცირებაა რომლებიც თანამედროვე კაცობრიობის, უპირატესად ბავშვების ჯანმრთელობის მთავარ პრობლემებს წარმოადგენს და მიჩნეულია როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევაა. გარემოს დაცვით პრობლემების სწორ ანალიზთან ერთად ზუსტმა მენეჯმენტმა შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოსმთლიან ეკოსისტემაზე შედეგი წარმოადგენს დაცული ტერიტორიების სასარგებლოდ გადაადგილება, რაც ადგილობრივი რესურსების გამოყენებას საშუალებას მოგვცემს, თანამედროვე მენეჯმენტში ერთერთ მნიშვნელოვანი ბარიერად განიხილება ის დაცული ტერიტორიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ადრეული გამოცდილებით და ვერ პასუხობენ თანამედროვე კონსერვაციის პირობებს. სწორედ ამ და სხვა მიზეზების გათვალისწინებით ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი უზრუნველყოფს კონსერვაციის საერთაშორისო სტანდარტებს რომელიც შეიქმნა 1948 წლის ქარტიით, (ახლანდელი IUCN - მსოფლიო კონსერვაციის კავშირი; www.iucn.org)

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ ანალიზს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მოითხოვს მეტ ინვენსტიციას მიმდინარე კლიმატური პირობების, ბუნებრივი რესურსების გამოყენების მდგრადად მართვის ფარგლებში სადაც ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის ჩართულობას (ადგილობრივ თემებს, კერძო მესაკუთრეებს) რომლებიც წარმოდგენილნი არიან კონსერვაციის ტერიტორიებზე და იმართებიან სახელმწიფო უწყებების მიერ. გაანალიზებულია ისეთი საკითხები როგორიცაა: დაცული ტერიტორიების ინტეგრირება, მდგრადი განვითარების მიმართულებები მათ შორის- მწვანე ინფრასტრუქტურის პოპულარიზაცია, როგორც კლიმატის ცვლილებებზე რეაგირების სტრატეგიული ნაწილი.